

თეა კობახიძე

**ტამბლიერთა სასულიერო ორდენის განადგურების
საიდუმლო და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის
მოსახსენებლები**

1095 წელს რომის პაპის, ურბან II-ის ბრძანებით დაწყებული და „ქრისტეს საფლავის დაცვის“ ლოზუნგით წარმართული გრანდიოზული სამხედრო მსვლელობა, ჯვაროსნულ მოძრაობად იწოდება. ესაა მასშტაბური სამხედრო-საკოლონიზაციო მიგრაცია, რომელიც თითქმის 200 წელიწადს გაგრძელდა და ევრაზიის დიდი ნაწილის ტერიტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მეტამორფოზა განაპირობა.

XI საუკუნეში, დასავლეთ ევროპის საზოგადოების შიგნით, სოციალურმა წინააღმდეგობებმა უარესად მწვავე ხასიათი მიიღო.

ფეოდალებმა, გაზრდილი ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ყმა-გლეხთა ექსპლოატაცია გააძლიერეს.

შუა საუკუნეების სამართლის მიხედვით, ფეოდალის მემკვიდრეობა მამიდან უფროს ვაჟიშვილზე გადადიოდა. დანარჩენი შვილები უსახსროდ რჩებოდნენ. ეს ფენა კი, ქონების არასწორი განაწილების გამო პოტენციურ მძარცველად — ე.წ. „უმიწაწყლო რაინდთა არმიად“ ყალიბდებოდა.

XI საუკუნეში კათოლიკური ეკლესია ყველაზე შეძლებულ და ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა. იგი იქცა ერთგვარ გამაერთიანებელ ძალად, შინაფეოდალური ომებით დაღლილ და დაქუცმაცებულ ევროპაში. პაპობა ცდილობდა ახალი ქვეყნების მოქცევას თავისი ძალაუფლების ქვეშ — ამ მხრივ მას ყველაზე მეტად ბიზანტია აინტერესებდა. ეს უკანასკნელი კი, გარეშე მტრებთან ბრძოლით დასუსტებული, გამუდმებით სთხოვდა დახმარებას ევროპის სიუზერენებს — განსაკუთრებით კი რომის პაპს.

ასეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში მომწიფდა ჯვაროსნული მოძრაობის იდეა. პაპობამ სცადა, ნადავლსა და მიწა-წყალს დახარბებული ევროპის მოსახლეობა (უპირატესად რაინდობა), თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ აემხედრებინა. საამისოდ პაპის ხელისუფლებამ, ქრისტეს საფლავის მუსულმანთაგან შეურაცყოფის შესახებ დემაგოგიურად შექმნილი ისტორია გამოიყენა.

სწორედ ქრისტეს საფლავის დაცვა გახდა მიზეზი მოძრაობისა, რომლის მთავარი მიზანი აღმოსავლეთის სიმდიდრეთა ხელში ჩაგდება იყო.

ომები 1096 წლის გაზაფხულზე დაიწყო. მათში მონაწილე რაინდებს, შესამოსელზე გამოსახული ჯვრის გამო, ჯვაროსნები ეწოდათ.

1099 წელს ჯვაროსანთა რაზმებმა იერუსალიმი აიღეს; ქალაქი დაარბიეს, გაძარცვეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოჰყლიტეს. შემდგომ ამისა, დააარსეს იერუსალიმის სამეფო, რომლის ტერიტორიები პალესტინასა და სამხრეთ სირიასაც მოიცავდა და „რომლის მთავრად აღიარეს გოდფრუა („წმ. საფლავის ვექილის“ ხარისხით), მისი მემკვიდრე და ძმა ბოდუენი უკვე მეფედ ითვლებოდა“.

ამ დემაგოგიური სამხედრო ოპერაციის შედეგად დიდი მოგება ნახეს ჯვაროსანთა რაზმების წინამძღოლებმა, ძირითადად ბარონებმა და რაინდებმა.

ომმა სარგებლობა ბიზანტიასაც მოუტანა, ჯვაროსანთა დახმარებით, იმპერატორმა ალექსი პირველმა, დაიბრუნა XI ს. 70-იან წლებში თურქთაგან მიტაცებული მთელი რიგი ტერიტორიები.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებს შორის, მთავარ პოლიტიკურ ერთეულს, იერუსალიმის სამეფო წარმოადგენდა. დანარჩენი სამეფოები, რომელთაც ვასალის სტატუსი გააჩნდათ, ფაქტობრივად სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ.

პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად და მოპოვებული ნადავლის შესანარჩუნებლად, ფრანგმა რაინდებმა 1118-1119 წწ-ში სასულიერო ორდენი დააარსეს. დამაარსებლად ორი რაინდი – ჰუგო დე პაინი და გოტფრიდ სომერი ითვლება.

იერუსალიმში, სოლომონის (ძვ.წ. X ს.) მიერ აგებული ტაძრის ტერიტორიაზე განალაგეს რაინდებმა თავიანთი რეზიდენცია და სამხედრო ყაზარმები (სოლომონის ტაძარი, ბუნებრივია, ამ დროისათვის აღარ არსებობდა. იგი განკაცებული მესიის ჯვარზე აღსრულების მომენტში დაინგრა). სასულიერო ორდენის წევრებს მეტადრე რაინდები ანუ ტამპლიერები (ფრანგ. ტემპლე) ეწოდათ.

ტამპლიერების ორდენის სათავეში „დიდი მაგისტრები“ იდგნენ. ისინი შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდნენ და აღმოსავლეთში მეტად სერიოზულ სამხედრო ძალად ჩამოყალიბდნენ. 1128 წელს ორდენმა შეიმუშავა წესდება, რომლის საფუძველზეც, მკაცრად გასაიდუმლოებულ, ცენტრალიზებულ ორგანიზაციად იქცა.

1139 წელს, პაპმა ინოკენტი II-მ, ტამპლიერებს მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიანიჭა. მისი ბრძანებით, ორდენი ადგილობრივ საერო და საეკლესიო საფეოდალოებს გამოეყო და საეკლესიო გადასახადებისაგან გათავისფლდა. ეს პრივილეგიები განმტკიცდა და შეივსო მომდევნო პაპების მიერ, რომელნიც ცდილობდნენ, ორდენი თავიანთი პოლიტიკური მიზნების სამსახურში ჩაეყენებინათ.

დროთა განმავლობაში ორდენმა, განუსაზღვრელი სიმდიდრის ფონზე, ძლევამოსილებას მიაღწია. ეს იყო უზარმაზარი თანხების,

მინების, ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების მფლობელი უმდიდრესი ორგანიზაცია. ორდენის მესვეურები სესხებს სოლიდური პროცენტით გასცემდნენ და ამ მხრივ, გამონაკლისს არც საფრანგეთის მეფისათვის უშვებდნენ. ორდენი უმსხვილეს სავაჭრო და სამეცხეო ორგანიზაციასაც წარმოადგენდა. მათი ტაძრები და სიმაგრეები, თავიანთ ნიაღში, განუსაზღვრელ სიმდიდრეს იტევდა. ეს სიმაგრენი შეუვალნი იყვნენ. ორდენს, როგორც ოტო ცეკლერი მიუთითებს, 20.000-იანი ბრწყინვალედ აღჭურვილი მხედრობაც ჰყავდა.

მე-13 საუკუნეში ტამპლიერებთან, როგორც დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ბანკირებთან, ფინანსური მომსახურეობის აღმოსაჩენად ფეოდალები, მეფეები და თავად რომის პაპებიც მიდიოდნენ.

1291 წელს ტამპლიერები კვიპროსზე დაფუძნდნენ, შემდგომ ევროპაში გადავიდნენ. მათ თავიანთი რეზიდენციები ძირითადად საფრანგეთში განათავსეს, თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს არც ინგლისი, ესპანეთი და გერმანია წარმოადგენდა.

ტამპლიერთა განადგურების წინააღმდეგ დაძრული სახელი-სუფლებო-საინკვიზაციო პროგრამა, საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზმა წამოიწყო. შევიდა რა მწვავე კონფლიქტში რომის პაპ ბონიფაციუს VIII-სთან, ფილიპე ლამაზმა შეძლო გადაეყენებინა და დაეპატიმრებინა (!) პაპი. კანდიდატად კი წამოაყენა გასკონის პრელატი ბერტრან დე გო, იგივე კლიმენტ V (1305 – 1314). ამ პაპის მოღვაწეობით სამოცდაათწლიან „ავინიონის პაპობას“ დაედო სათავე.

ავინიონის პაპები საფრანგეთის მეფის მორჩილნი და მოკავშირენი იყვნენ.

კლიმენტ V-მ, მეფის ბრძანებითა და რეზერვაციის უფლების ძალით, ტამპლიერთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება დაიწყო. თამპლიერები დაადანაშაულეს ერესში, სატანურ ქმედებებში, სოდომურ ცოდვებში და ამ ნიადაგზე 54 მეტადრე დაწვეს, სხვები სხვადასხვა ფორმით დასაჯეს. პაპის კურთხევით ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, გერმანიასა და კვიპროსზე ინკვიზიციამ მრავალი ტამპლიერი დააპატიმრა და აწამა.

მეტადრეთა ქონების კონფისკაცია საფრანგეთის სამეფო კარის სასარგებლოდ მოხდა.

ორდენის განადგურებით ფილიპე ლამაზმა სოლიდური ვალები-ისაგან თავი გაითავისუფლა და დიდძალი ქონებაც მიისაკუთრა.

ასეთი გახლავთ შუა საუკუნეების ისტორიის ის მონაკვეთი მოკლედ, რომელიც ტამპლიერთა არსებობას შეიცავს.

განვიხილოთ მიზეზები, რომლებიც, შესაძლოა, ტამპლიერთა ორდენის აღსასრულის ჭეშმარიტი გამპიროვნებელნი გახდნენ.

მასონთა მისტიური ორგანიზაცია უძველეს ეპოქაში ჩამოყალიბდა. როგორც თანამედროვე მასონობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მეტრი, არგენტინის ლოჟების დიდი მაგისტრი, თავადი ნეელოვი ადასტურებს, მასონობას 30 საუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ მკაცრად გასაიდუმლოებული, მძლავრი ორგანიზაციის მამამთავრებად, სოლომონის ტაძრის ხუროთმოძღვარი აღონირამი და მისი კირით-ხუროები ითვლებიან. მასონები თავიანთ კავშირს „თავისუფალ ქვისმთელეთა“ საძმოს უწოდებენ და თავს აღონირამის მიმდევრებად რაცხავენ. სიმბოლოურია, რომ ტამპლიერებმა თავიანთი ორდენის დაარსება სწორედ სოლომონის ტაძრის ტერიტორიაზე განახორციელეს. სიმბოლოებს კი რელიგიურ მისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ტამპლიერების სახელიდან გამომდინარე, ყველა სახლი, სადაც მასონთა ლოჟების სხდომა ეწყობა, ტაძრებად მოიხსენიება.

მასონობა იმ ელიტის სახელია, რომელმაც ჯვარს აცვა მესია. გადმოცემის თანახმად, 929 წელს, „სიონელ ბერთა“ კრებამ, ე.წ. პირველმა მასონურმა ლოჟამ, ანტიქრისტესათვის სამყაროს გამზადების გეგმა შეიმუშავა და ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად, ოცდაათი საუკუნეა თაობები მუშაობენ.

ტემპლიერები, მიუხედავად მათი თავდაპირველი მოკრძალებული და მორჩილებითი ცხოვრებისა, შესაძლოა, თავიდანვე მასონური ელიტის აქტიური მოკავშირენი იყვნენ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1614 წელს შექმნილი „როზენკრეიციერები“, ალქიმიითა და მაგიით დაკავებული საიდუმლო ორგანიზაცია, ტამპლიერებისა და გნოსტიკოსების დოქტრინებით ხელმძღვანელობდა. „ვარდიჯვრის“ წოდების მასონები, თავიანთ სენსებზე სატანას მოუხმობდნენ. ასწავლიდნენ, რომ უფალმა სამყარო შექმნისთანავე მიატოვა და მას შემდეგ უმოქმედოდაა. უმცროსი შვილი თავისთან ჰყავს ზეცაში, მსოფლიო კი სამართავად უფროსს – სატანას გადასცა. როზენკრეიციერთა მწვალებრული სწავლებით, სატანა კაცობრიობის ღმერთია და მისთვის სასურველი სახარებაში მითითებულ სწავლებათა ანტიქმედებაა.

ფილიპე IV ლამაზი კი კათოლიკე მეფე იყო. ბონიფაციუს VIII-სთან დაკავშირებით, მიუხედავად მისი გადაჭარბებული, ტენდენციური და შურისმაძიებელი ქმედებისა, საეჭვოა, მხოლოდ სიმდიდრის მოსახვეჭად გაეჟლიტა ტამპლიერები.

ფილიპე ლამაზმა და ავინიონის პირველმა პაპმა კლიმენტ V-მ, ბრალი დასდეს ორდენს ერესში და ეს უსაფუძვლო არ ყოფილა. ლოზინსკის განმარტებათა საწინააღმდეგოდ („პაპობის ისტორია“), სადაც იგი ფილიპე IV და პაპს თითქმის ავანტურისტებად, ხარბ

და უნებისყოფო მოძალადეებად წარმოგვიდგენს, პლატონოვი ამტკიცებს, რომ ორდენის ქონების დიდი ნაწილი არა მეფის კარს, არამედ მალტის ორდენს გადაეცა. ცნობილია, რომ ჯვაროსნული მოძრაობის შედეგად სხვა ორდენებიც შეიქმნა (ჰოსპიტალიერების, ტევტონების), მაგრამ ისინი არავის დაუდანაშაულებია და დაუსჯია.

ქრისტიანობის მტრები მეტაძრეთა დამსჯელ სამეფო ხელისუფლებასა და პაპს ორდენის სიმდიდრით სარგებლობაში ადანაშაულებენ. იმავდროულად, თანამედროვე მასონობაში, ე.წ. „განდობის რიტუალში“ წყევლა-კრულვა ეთვლება მალტის ორდენს, ტამპლიერთა სიმდიდრის მითვისებისათვის.

ო. პლატონოვი ბრძანებს, რომ ორდენი აპირებს ყველა სამეფო ტახტის დამხობას და მსოფლიო რესპუბლიკის შექმნას.

1307 წლის 5 ოქტომბერს, ფილიპე IV ლამაზმა, საფრანგეთში ყველა ტამპლიერის დაპატიმრების განკარგულება გასცა. მიუხედავად დიდი და სერიოზული სამხილებისა, პაპი კლიმენტ V აპროტესტებდა მეფის ამ ბრძანებას და შუამდგომლობდა მეტაძრეთ.

1309 წელს მეფემ ორდენის დაპატიმრებული წევრები გააფრთხილა, როგორც ჩანს, იგი ბოლომდე თავს იკავებდა მათი დასჯისაგან.

ტამპლიერთა განადგურება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც პაპმა მათი საქმე თავად გამოიძია. ამ ძიებათა შედეგად კი მეტაძრეთა ერეტიკოსობა დადასტურდა.

დადასტურდა ტამპლიერთა კიდევ ერთი შემადრწუებელი ქმედება. ელიტარული ორდენის წევრები ისლამის მისტიურ სექტებთან თანამშრომლობდნენ. მიუხედავად მკაცრად გასაიდუმლოებული ურთიერთობისა, გაირკვა მათი კავშირი ისმელეიტებთან და რაც მეტად შემამფოთებელია, მათი ურთიერთობები ასასინებთან.

ისმელეიტები VIII ს-ში შექმნილი შიიტური სექტაა. მათ სახელი შიიტთა მეექვსე იმამის, ჯაფარ სადიკის უფროსი ვაჟის, ისმაილის მიხედვით ეწოდათ. ისმელეიტები ელოდნენ მხსნელის – მაჰდის მოსვლას. ეს სექტა 7 საფეხუროვან რელიგიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ორგანიზაციის პოლიტიკური მიზნები საიდუმლოებებით იყო მოცული და მხოლოდ ზედა საფეხურის ხელმძღვანელი ფეოდალებისათვის ცნობილი. სექტის რიგითი წევრებისათვის კი ე.წ. „საგარეო ზოგადი მოძღვრება“ არსებობდა. ორგანიზაციას ჰქონდა „სატრის“ პერიოდი. ესაა სიბნელით მოცული საიდუმლო იმამთა ხანა. ამ პერიოდის შესახებ მკვლევართათვის არაფერია ცნობილი. უბრალოდ, შეუძლებელია სექტის მოღვაწეობის ამ მონაკვეთის შესწავლა.

ძალიან ბევრი იდუმალება იყო ტამპლიერთა მოღვაწეობაში!

და ბოლოს, ესაა ორდენის ცხოვრების ყველაზე პირქუში მონაკვეთი – მეტადრეთა ურთიერთობა ასასინებთან.

ასასინები (არაბ.: ჰაშიმიინ-ჰაშიმის მწველები) იგივე ნიზარიტები, საიდუმლო სექტანტური ნეოსმაილიტური ორგანიზაციაა – ე.წ. მკვლელთა სექტა.

1090 წელს, ასასინების სექტის დამაარსებელმა და მეთაურმა შეიხ ჰასან იბნ საბაჰმა ალაშუთის ციხე აიღო, ირანსა და სირიაში მრავალი სხვა მიუვალი ციხესიმაგრე იგდო ხელთ და რეაქციული თეოკრატიული სახელმწიფო შექმნა. ასასინები თვით ჯვაროსნებსაც დიდი სისასტიკით ებრძოდნენ. არადა, ტამპლიერები, ასეთ მწვავე პოლიტიკურ-რელიგიური წინააღმდეგობების ფონზე, ასასინების დიდი მოკავშირეები გახდნენ. ასასინების სექტის სათავეში მდგომი შეიხის, „მთების უხუცესის“, საიდუმლო რეზიდენცია ტამპლიერ რაინდებს ხშირად მასპინძლობდა.

მეტადრეთა ისლამისადმი სიმპათია, მათი დაარსების დღიდანვე იკვეთება. კერძოდ, თუნდაც ის, რომ ორდენის უპირატესნი, იერუსალიმში, ომარის მეჩეთში მსახურობდნენ; იგი თავის რეზიდენციადაც აქციეს. საგულისხმოა ისიც, რომ ინგლისში სოლომონის ტაძრის ასლის აგებისას, ორდენმა ომარის მეჩეთის სტილის არქიტექტურული ნაგებობა შექმნა.

ასასინებთან ურთიერთობის პარალელურად, მეტადრე რაინდები დაუახლოვდნენ იუდეველთა საიდუმლო კავშირებს და ოკულტურ საზოგადოებას – ე.წ. „სიონის უპირატესთ“. ორდენი თავის რიტუალებში აქტიურად იყენებდა მათ ოკულტურ სწავლებებს.

თვით ორდენის შიგნით კი გაუთვალისწინებელი ამბები მოხდა. მიუხედავად კონსპირაციისა, ინფორმაცია ტამპლიერთა ერეტიკული სწავლების შესახებ ორგანიზაციის შეუვალ ციხე-სიმაგრეთა ფარგლებს გასცილდა. მეტადრენი, ორდენის წევრობის მსურველთ, ამაზრზენ გამოცდას უწყობდნენ: ღირსების გასათელად და დიდი მაგისტრის ბრმად მორჩილების დასტურად, აიძულებდნენ დაემსხვრიათ და ფეხით გაეთელად ჯვარი. ბუნებრივია, ეს უზნეო პროცედურა ქრისტიანობის უარყოფას ნიშნავდა და სანაცვლოდ ახალმოქცეულს „ყოვლის შემძლე“ ორდენის მფარველობა ენიჭებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: ტამპლიერები შეეცადნენ სხვადასხვა რეაქციული რელიგიების ოკულტური გამოცდილების ქრისტიანობასთან შერწყმას და ამის საფუძველზე რალაც უფრო დიდი, მათი შეხედულებით უფრო „სრულყოფილი“ რელიგიური სისტემის ჩამოყალიბებას. ყოველივე

ამან, მათი ერესში შთანთქმა და ქრისტიანობისაგან სრული განკვეთა გამოიწვია. იყვნენ კი თავიდანვე მეტადრენი ჭეშმარიტი კათოლიკეები? ალბად ეს საკითხი უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს.

სტატიის შემდეგი ნაწილი ორდენის ქართველებთან ურთიერთობის საკითხს განიხილავს.

ტამბლიერების ლაშქრობების პირველი პერიოდი, საქართველოში დავით აღმაშენებლის მეფობას ემთხვევა.

დავით მეოთხის პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს „დიდი თურქობის“ საქართველოსთვის წარმატებით დასრულება შეადგენდა. ქართველთა მეფე გეგმაზომიერად მოქმედებდა. იგი ოსტატურად იყენებდა იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც XI ს. 90-იანი წლებიდან სელჩუკთა დასუსტება განაპირობა.

1092 წელს, ტახტის ხელში ჩასაგდებად წარმართული შინაფეოდალური ომების გამო, საგრძნობლად შესუსტდა სელჩუკთა იმპერიის სამხედრო პოტენციალი. ამას ჯვაროსანთა ომიც მოჰყვა. ამ უკანასკნელთა გამოჩენიდან საქართველო მარტო აღარ იყო თურქთა წინააღმდეგ.

XII ს-ის 10-იანი წლებიდან საქართველო აღმოსავლეთში განლაგებულ ანტითურქულ ძალებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა დავით აღმაშენებლის ურთიერთობა ჯვაროსნებთან.

ქართველთა მეფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს მეფე ბოლდუინთან. მას ძვირფას საჩუქრებსაც უგზავნიდა. ცხადია, ეს დამოკიდებულება ფართო ხასიათისა იყო და აქ მე, უპ. ყოვლისა, პოლიტიკურ ასპექტს ვგულისხმობ. მეფეები ერთმანეთს სელჩუკებთან წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ. ამას ადასტურებს თამარის ისტორიკოსის ცნობები („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

დავით აღმაშენებლის სახე ჯვაროსანთა შორის იმთავითვე პოპულარული გახდა. ევროპელი რაინდები ქართველ მეფეს ჩრდილოელ მოკავშირედ მიიჩნევდნენ. ქართველთა მეფისადმი ჯვაროსანთა ასეთი მიმართება, კარგად გადმოსცა იერუსალიმში მყოფმა ფრანგმა მეფესალმუნემ ანსელუსმა (ზ. ავალიშვილი – „ერთი ჯვრის შესახებ“).

რაინდები დავით აღმაშენებელს ტიპიურ ჯვაროსნად აღიქვამდნენ. „ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი ჯვაროსნული მოაზროვნესავით თავის თავს „მესიის ანუ ქრისტეს მონას“ უწოდებდა. ამ დროიდან მოყოლებული, სწორედ აღნიშნული ტიტულით მიმართავდნენ ხოლმე ქართველ მეფეებს უცხოელთა დიპლომატიური მისიებიც და საერთოდ, აღმოსავლეთის მმართველები“.

დავითის დროს მოჭრილ ფულზე, რომელიც საერთაშორისო ბრუნვაში იყო ჩართული, გამოსახული იყო ქრისტიანი მეომარი შუბით და წარწერა „მესიის მახვილი“.

დიდგორის ცნობილი ომის დროს, ქართველთა ლაშქარში, ჯვაროსანთა მოზრდილი ჯგუფი იმყოფებოდა. ამ ინფორმაციას, ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერის – გოტიეს, ცნობები შეიცავენ. იგი თავის ნაწარმოებში „ანტიოქიის ომები“, დიდგორის ომის მსვლელობის შესახებ წერს: „მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი, რომ ჰყავდა, მონინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად“.

ჯვაროსნები დიდგორთან გამარჯვებას, ქრისტიანობის საერთო გამარჯვებად თვლიდნენ.

XII საუკუნის მანძილზე, ქართველთა და ჯვაროსანთა შეხვედრების თვალსაჩინო ადგილი პალესტინა იყო. ამ შეხვედრა-ურთიერთობათა შესახებ, საუკეთესოდ მოწმობს ტამპლიერთა ორდენის წევრთა ის დიდი მოსახსენიებელი, რომელიც დაცულია ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში. ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში. მას ახლავს წარწერა, რომელიც იუწყება, რომ გადაწერა დაუსრულებიათ „ბერძენთა ზედა მანოელისსა, ქართლს დიმიტრისსა, იწ' ლმს ბუღდიონისადა“. ხელნაწერი, რომელიც მეცნიერთათვის XIX ს-ში გახდა ცნობილი, 1155 წლით თარიღდება.

ვიდრე უშუალოდ ხელნაწერის იმ ნაწილს შევხებოდე, სადაც მეტაძრე რაინდთა და მათი ოჯახის წევრთა სახელებია მოხსენიებული, მოკლედ განვმარტავ ჯვრის ქართველთა მონასტრისა და ალაპ-მოსახსენიებელთა მნიშვნელობას.

იერუსალიმის ქართველთა კოლონიისა და ჯვაროსანთა სამეფოს ურთიერთობის ამსახველმა მასალებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწიეს.

ცნობილია, რომ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის ალებისა და იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099 – 1187), ქრისტიანული ტაძრების დიდი უმრავლესობა ლათინებმა დაისაკუთრეს. ქალაქსა და მის შემოგარენში მართმადიდებლებს მხოლოდ ჯვრის მონასტერი (ქართული) და წმ. მელანიის მონასტერი (ბერძნული) ეკუთვნოდათ.

იმ ისტორიულ მონაკვეთში, ჯვარი, პალესტინის უდიდეს წმიდა კერად ითვლებოდა. თუ ის გალათინებას გააუჩრა, არა მარტო იმის გამო, რომ იერუსალიმის გარეთ მდებარეობდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ღვთის ნება იყო და იმიტომაც, რომ შექმნილი სამხედრო – პოლიტიკური ვითარების გამო, ქართველები ჯვაროსანთა მოკავშირედ აღიქმებოდნენ.

მონასტრის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ის შეწირულობები იყო, რომელთაც იგი მეფეთა, მსხვილ ფეოდალთა და ერისკაცთა-

გან იღებდა. ამ შეწირულობებით შემომწირველი ზრუნავდა მონასტრის ეკონომიურ კეთილდღეობაზე და თავს იმკვიდრებდა სულის საცხოვნებელ აღაპებსა და მოსახსენიებლებში. ამ დოკუმენტებს უდიდესი სასულიერო და ისტორიული (!) მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორიული, ცხადია, იმის გამო, რომ მათში მითითებული პირები და ისტორიები, თვითმხილველთა ხელით იწერებოდა.

ქართულ ეკლესია-მონასტრებში და ბუნებრივია, იერუსალიმის ჯვრის მონასტერშიც, ამგვარი მოხსენიების ორი ტიპი განირჩეოდა: 1. მოსახსენიებლები და სულთა მატინანეები, 2. აღაპები.

მოსახსენიებელთა ორი სახე არსებობდა: ერთი, კერძო მოსახსენიებელი, დადებული ამა თუ იმ პირის, ოჯახის და ადამიანთა ჯგუფისათვის. ამგვარი მოსახსენიებლები, ძირითადად, ხელნაწერთა მინაწერების სახით იქმნებოდა; მეორე ტიპიც კერძო დანიშნულებისა იყო. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ I ტიპის მოსახსენიებლები იწერებოდა ჯვრის მონასტრის კრებულის განკარგულებით, ხოლო მეორე ტიპის მოსახსენიებლის შედგენა ხდებოდა კერძო პირთა კარნახითა და განკარგულებით.

ჯვაროსან ტამპლიერთა მოსახსენიებლები – დანერილი ე.წ. „გოლგოთას სვინაქსარის“ პირველ გვერდზე, პირველი ტიპის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ეს ფრიად საინტერესო მასალა მოიხსენიებს ტამპლიერთა ორდენის შემდეგ რაინდებსა და მათი ოჯახის წევრებს: 1. სირ უგ და ყოველნი [მოყვარენი მისნი], 2. ჯოფრე ფაუსათ, 3. სინენბრინ და მოდეარ ჯირაოდ, 4. ვ`გი`ლმ, 5. ფილიპე, ელისაბედ, ელენე, სტეფანე მ`მე ელისაბედისი ოდი და დედაი მაბილა და პაპი ფილიპესი გ`ი, 6. სირ პერ კომანდური ტაძრელთა, 7. პერი ტაძრელთა, 8. პერია, მისი დედაი ბ`სლა და მამაი მისი ნელინ, 9. გულიამ პატერა და დედაი და მამაი მისი, 10. ჯირარდ და დედაი და მამაი მისი, 11. ორსიშოდ სილგილმ დელოლველ, 12. სირ ვრიდრიმ, 13. რაუ, გილა ასქილანი, ასილინე, ჟუან, ელისაბედ, 14. სირ უდრი და მაჰად, 15. სირ რაო და მიქაელ, 16. ქრისტოდულ ეკ`ონმი, 17. სირი ჯილიბედ, 18. სირ არბერდ ბჟე და ძ`მი ტაძრელთა ჟუან.

მოსახსენიებელთა შედგენისას შეცდომებია დაშვებული.

ეს სვინაქსარები ადასტურებენ მეტაძრეთა ჯვრის მონასტერთან ურთიერთობას. ამ მოსახსენიებელთა ქართულ ხელნაწერში შეტანა მიუთითებს იმას, რომ ჯვაროსნები დადიოდნენ მონასტერში, შესაძლოა, ესწრებოდნენ მსახურებას, სწირავდნენ შესანიშნავსა და ამით მკვიდრდებოდნენ მოსახსენიებლებში.

ჯვრის მონასტრის მოხატულობის ზოგიერთი დეტალის შესწავლაც, არ გამორიცხავს ამ მონასტრის ერთ-ერთი მოხატვის შესაძლებლობას სწორედ ჯვაროსანთა ეპოქაში. მოხატულობის თემატიკა და კერძოდ, წმიდა სებასტიანეს გამოსახულება მონასტრის

ერთ-ერთ სვეტზე, შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, მხოლოდ ჯვაროსანთა ეპოქაში უნდა გაჩენილიყო.

ჯვრის წმიდა მონასტრის მამებისათვის, ტამპლიერთა ორგანიზაციის ჭეშმარიტი არსი და დოქტრინა, ამ მოსახსენებელთა შედგენის ან მოხატულობის შექმნის მომენტში, შეუძლებელია ცნობილი ყოფილიყო.

ჯვაროსანთა იერუსალიმის სამთავროსთან XII საუკუნის დასაწყისში დაწყებული კეთილ მეგობრული ურთიერთობა მეფე გიორგი მესამემაც (1156 – 1184) გააგრძელა.

1216 – 1217 წწ. ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. ამ სამხედრო კამპანიის ორგანიზატორმა, პაპმა ჰონორიუსმა, საგანგებო ელჩების ხელით დიდი ეპისტოლე გამოუგზავნა ქართველთა მეფეს, ლაშა-გიორგის (1213 – 1222) და დახმარება სთხოვა. ლაშა-გიორგი დაუყოვნებლივ შეუდგა სალაშქრო მზადებას. თუმც, ჯვაროსანთა V ლაშქრობა (1217 – 1221), რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ დაიგეგმა, ლაშა-გიორგის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. 1221 წელს საქართველოს მონღოლთა მარბიელი რაზმები მიაღწენ, დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობით. ჯვაროსანი რაინდები ქართველთა მეფეზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ლაშა-გიორგის ისინი მოწინებთა და აღფრთოვანებით მოიხსენიებდნენ.

ქ. ბეზანსონის პატრონსა და არქიეპისკოპოსს წერილი მოუვიდა, რომლის ავტორი, ვინმე ფრანგი რაინდი, წერდა: ქართველნი „წმიდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, 16 წლისაა ჭაბუკი ესე დედის მისის დედოფლის, უძლიერესის თამარის ძელებს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა იერუსალიმად წასვლის აღთქმად დასდვა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველმა საზგასამულად ქრისტიანმა მეფეებმა და რალა თქმა უნდა, წმიდა ბერებმა, არ იცოდნენ ტამპლიერ რაინდთა ერეტიკოსობის შესახებ. სამღვდლოების მხრიდან დევნის აცილების მიზნით, მეტაძრენი სამონაზვნო ჩაცმულობით დადიოდნენ და გარეგნული მორჩილებისა და მოთმინების მიღმა მწვალებლობდნენ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ტამპლიერები, თავიანთი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შეუერთდნენ ერესს. ეს მოსაზრება ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ტამპლიერთა ორგანიზაციის მოღვაწეობის შესწავლის საკითხი, ჩემი აზრით, კვლავ ღია რჩება და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Лозинский С. Г. История папства, Москва, 1961
2. Бертельс А. Е. Насир-и Хосров и исмаилизм, Москва, 1959
3. Заворов М. А. Крестоносцы на Востоке, Москва, 1960
4. Платонов О. Тайная история масонства
5. Попов А. Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, 1, 1903
6. ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929
7. მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI - XVII სს), თბილისი, 1962
8. ბადრიძე შ. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X - XIII სს), თბილისი, 1984
9. ივერიის გაბრწყინებ, № 1 (47) 2004